№ 45
სამშაბათი 26 თებერვალი 1902 წ.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1902

ივერია

№ 45
სამშაბათი 26 თებერვალი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 თებერვლიდგან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს ცხრა მანეთი და ათი შაური (9 მ. და 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:
ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა)
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ. ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ)
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“. ტელეფონი № 227.

პ. ს. დოროშნოვის

მაღაზიაში

26 თებერვლიდგან დანიშნულია ყველაფრის იაფფასად გასყიდვა.

ტფილისის პოლიციმეისტერი სთხოვს ყველას, ვინც მიდის ეტლით თეატრში, ან ვოგზალზედ, ან სხვაგან სადმე ისეთს ადგილას, სადა ბევრი ხალხი იყრის თავს, წინდაწინვე გაუსწორდეს მეეტლეს, რადგან გაჩერება ეტლებისა ამ ადგილების მისავალთან, ვიდრე მეეტლე ფულს მიიღებდეს, სხვა უკან მომავალ ეტლებს და შიგ მსხდომ ხალხს აბრკოლებს და აცდევინებს ტყუილ-უბრალოდ.

(3—1)

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანს და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. რეუტის ქუჩა № 24.

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი
ექიმი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. საკოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბკოვი. 5—6 ს. საქირურგიო და კანისა.

ა. ნ. შაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი. სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

სადღეისო წერილები

ერი და ეროვნული პრინციპი

III

„ბევრი რამ განაგებს ადამიანთა, ამბობს მონტესკიე: ჰავა, სარწმუნოება, გვარი მთავრობისა, წარსულ დროთა მაგალითები, ზნეჩვეულებანი (და ენა, დავძენთ ჩვენის მხრივ) ყველა ამასა ზედმოვლენით წარმოსდგება საერთო არსება ერისა“.

სხვა-და-სხვა გვარი ბუნება სხვა-და-სხვა გვარად მოქმედებს ადამიანის აგებულებაზედ და განსაკუთრებულს ბეჭედს ასვამს მის მოძრაობის ძალას, სიცოცხლის ენერგიას, გონების განვითარებას. კანისა და ფილტვების სუნთქვას დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის მოძრაობისათვის სხეულში, მაშასადამე, მოლეკულიარულ ცვლილებათა განვითარებისათვის; ამიტომ უფრო მომქმედი იქნება ის ერი, რომელიც სცხოვრობს თბილსა და მშრალს ადგილებში, ვიდრე ის ერი, რომელიც სცხოვრობს თბილს და ნოტიო ადგილებში. ცივს ადგილებში გრძნობა მხოლოდ მაშინ მიაღწევს ტვინამდის, როდესაც ძლიერია, თბილს ადგილებში-კი მცირე შთაბეჭდილებაც საკმარისია, რომ ნერვებმა იგრძნოს იგი შთაბეჭდილება; ამიტომ თბილის ქვეყნის ხალხი მეტად მგრძნობიერია, ცივისა-კი ნაკლებ. თუ ხალხი ცივს ქვეყანაში სცხოვრობს და მასთან მიწა ცოტა მოსავალს აძლევს, იგი იძულებული იქნება ბევრი იმუშაოს ძლიერ—ერთი რომ თავი გამოიკვებოს, მეორე—რომ სიცივისაგან თავი დაიფაროს; ასეთი ხალხი უფრო შრომის მოყვარე და ენერგიული იქნება, ვიდრე ის, რომელსაც ბუნება ადვილად აძლევს საზრდოს და მასთან არც ყინვა-სიცივე აწუხებს. ვინც ზღვის ან სანაოსნო მდინარეების ნაპირად სცხოვრობენ, აუცილებლივ დაიწყებენ ნაოსნობას, ვაჭრობას, ექნებათ სხვა ერთან მისვლა-მოსვლა და მათი გონებრივი მიმართულება მიიღებს შესაფერს ხასიათს; ხოლო ვინც უტეხ ტყეებსა და ძნელად სავლელ მთებს შუა სცხოვრობს, ყოველთვის კარ-ჩაკეტილი იქნება, მიუკარებელ ზნე-ჩვეულებათა და ხასიათისა. თუ ტომი განუსაზღვრელ მინდვრებშია დამკვიდრებული, იმას უფრო გამოურკვეველი და ბუნდოვანი შეხედულობა ექნება თავისს ვინაობაზე, ვიდრე იმ ხალხს, რომლის ბინადრობის ადგილი ბუნებრივ განსაზღვრულია. ზოგიერთ ისტორიკოსის შეხედულობით: „კუნძულზედ მდებარეობა ინგლისისა, გამორკვეული მოხაზულობა საზღვრებისა იყო ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ინგლისელთა ძლიერის ეროვნულის გრძნობისა და პატრიოტიზმისა“. დიდი ზედგავლენა აქვს ხალხის სულიერს აგებულობაზე—იმას თუ, როგორია მიწა, იძლევა მხოლოდ ბალახს და პურს, თუ აღმოაცენებს მრავალგვარს მცენარეს, ხეს, მდიდარია სხვა-და-სხვა გვარის ცხოველით ® შეძლებას აძლევს მცხოვრებლებს, გაამრავალგვარონ თავიანთი შრომა და წარმოება, თუ მიწის თვისება აიძულებს ხალხს მიწათ-მოქმედებით ირჩინოს თავი, იგი უფრო კარ-ჩაკეტილი და უძრავი იქნება; ხოლო თუ ბუნების რაიმე ნაწარმოების გამო მრეწველობას უფრო მისდევს ხალხი, იგი უფრო მმოძრავი და ფართო შეხედულებისა იქნება.

ერთგვარია ბუნება, თუ მრავალფეროვანი, ამის-და მიხედვით გამოიწვევს იგი ან დაკვირვებათა და გონების სივიწროვეს, ან შთაბეჭდილებათა, წარმოდგენათა და აზრთა სიმდიდრეს. სიღიადე ბუნებისა ჰბადავს იდეათა სიდიადეს, ღატაკისა და პატარა ადგილსი ხალხი-კი ღატაკი იქნება თავის შემოქმედებითაც. სადაც ირგვლივ უდაბური ტყეებია, ლომებით, ვეფხვებით და სხვა საშიშარ მხეცებით სავსე, სადაც მინდვრები და მთები გადაჭრილია გაუვალ მდინარეებით, სადაც ისეთი წვიმები და ნიაღვრები იცის, რომ მთელს სოფლებს ანადგურებს, სადაც მიუწდომელი მთებია, როგორც ინდოეთში, იქ ადამიანი მონაა ბუნებისა, თრთის მის წინაშე; იქ ადამიანის გონება საშინელის სურათებით და ფიქრებით არის მოცული, მაგრამ სადაც ბუნების ყოველივე მოვლენა ზომიერია როგორც საბერძნეთში, იქ თვითონ ადამიანი ბატონია ბუნებისა და ყველაფერს თავის საკეთილდღეოსაგნად სთვლის. სულ სხვანაირად ჰმოქმედობს იმ ხალხის გონება, სულ სხვანაირად სცემს იმის გული, სულ სხვანაირის ადამიანურის შეხედულებისა იქნება ცხოვრების შესახებ ის, რომელსაც ყოველ დღე თვალი 9 მზე უნათებს და რომლის გარშემოც ბუნება მუდამ მწვანეა და ჰყვავის, ვიდრე ის ხალხი, რომელიც 6-7 თვე ძირს მხოლოდ თოვლიანს მინდვრებსა ჰხედავს გარშემო და ზევით მოწყენილს ცას...

თუმცა კულტურა თან და თან ათავისუფლებს ადამიანს ბუნებისაგან, მაგრამ მისი ზედგავლენა ადამიანზე მაინც დიდია და მომავალშიც ვერც ერთი ადამიანური დაწესებულება თავს ვერ დააღწევს ბუნების რეაქციას.

კულტურულ ფაქტორებ შორის აღვნიშნავთ ყველაზედ უწინარეს სარწმუნოებას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წინად. გაჩენის დღიდგანვე ადამიანს თან დაჰყვა ორი მტერი: ადამიანი და ბუნება. მათ შორის უფრო მავნებელი და საშინელი იყო და დღესაც არის პირველი მტერი (ადამიანი). რელიგია არის გამომხატველი ადამიანსა და ადამიანს შორის და ბუნებასა და ადამიანს შორის ურთიერთობისა. მაგრამ რელიგია არ არის პირდაპირი სარკე ცხოვრებისა, არამედ მისი წინ-გასწრება, განვითარება, «იდეალიზაცია»; რა-კი გაჩნდება რელიგია, იგი მეტად ცხოველმყოფელია და შეიძლება ზემო ნახსენებს ურთიერთობას უკან ჩამორჩეს და დააბრკოლოს მისი განვითარება; ერთი რელიგია, აღმოცენებული რომელისამე საზოგადოების ვითარების მიხედვით, ძალით თუ ნებით, გადადის სხვა საზოგადოებაში და თავის ზედგავლენას უმორჩილებს ყოველგვარს ურთიერთობას...

რა არის განსაკუთრებული თვისება რელიგიისა? იგი არის უმაღლესის არსების მიერ მოცემული წეს-წყობილება. ეს არსება არის ყველაფრის და ყველას ბატონი და გამგე ადამიანა სწამთ მისი უთუობა, აუცილებლობა. მათთვის არ არის კანონი ამ არსების კანონზე უძლიერესი და უდიდესი. უმაღლესი არსება აკანონებს, როგორი ურთიერთობა უნდა სუფევდეს ადამიანთა და უმაღლეს ბატონს შორის და როგორი უნდა იყოს თვითონ ადამიანთა შორის დამოკიდებულება: უფრო უმაღლესს არსებას უნდა ემსახურონ ადამიანები, თუ თავიანთ თავს; უნდა ეძიონ ბედნიერება ამ დედამიწაზედ, თუ საიქიოს უნდა უყვარდეთ ერთმანერთი, თუ მხოლოდ ზოგიერთნი, სხვებს-კი სდევნიდნენ; შესაზარი და მრისხანე ღმერთია, თუ მშვიდობიანი და სამართლიანი უმაღლესი არსება; მოქმედებას მოითხოვს იგი, თუ მორჩილებას და პასსიურს ცხოვრებას; როგორ ურთიერთობას ამყარებს მიწიერ ბატონს და ადამიანთა შორის: უფრო ავტორიტეტისადმი მორჩილებას თხოულობს, თუ პირადობას თავისუფლებას აძლევს, როგორ დამოკიდებულობას ჰქმნის კაცსა და ქალს შორის და სხ. ყველა ამის-და მიხედვით შემუშავდება ადამიანის სულიერი ცხოვრება... არამც თუ განსხვავდებიან ერთმანეთში სხვა და სხვა რელიგიის აღმსარებელნი, არამედ განსხვავდებიან ერთისა და იმავე სარწმუნოების მიმდევარნიც-კი, მაგ. მართლმადიდებელნი, კათოლიკენი, ლიუტერანები, კალვინიანები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა რელიგიას, როდესაც ერთის რელიგიის (თუ სარწმუნოების) ხალხი სცხოვრობს მეორე რელიგიის ხალხის ბატონობის ქვეშ; ამ შემთხვევაში რელიგია არის უმთავრესი, ხან და ხან ერთად-ერთიც შემნახველი და დამცველი ეროვნულის თვითარსებობისა: ებრაელებმა დაიცვეს ეროვნობა უმთავრესად თავისის განსაკუთრებულის რელიგიის მეოხებით, აგრეთვე დაიცვეს თვისი ეროვნული არსებობა ოსმალეთის ქრისტეანებმა. ქრისტეანე სომხებმა, რომლებიც სცხოვრობენ ქრისტეან ქართველთა შორისვე, დაიცვეს თავისი ეროვნობა მხოლოდ თავისის განსაკუთრებულის სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოების შემწეობით; ასე რომ არ ყოფილიყო, საქართველოში სომხები უეჭველად გაქართველდებოდნენ.

კალამი.

(გაგრძელება ხვალ).

ახალი ამბავი

შაბათს, 23 თებერვალს, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში ამავე სკოლის შეგირდებმა წარმოადგინეს გრიბოედოვის ოთხმოქმედებიანი კომედია: „ვაი-ჭკუისაგან“. შეგირდებს როლები შეგნებით და მკაფიოდ შეესწავლათ, რის გამო წარმოდგენამ მაყურებლებზე ფრიად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. წარმოდგენას დაესწრნენ ტფილისის სახალხო სკოლების დირექტორი ნ. გ. დიმიტრიევი, სკოლისვე სამზრუნველო კომიტეტის წევრები, მასწავლებლები ოჯახითურთ და გარეთვე შეგირდების მშობლები და ნათესავები.

⁂ 21 ამა თებერვალს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში ნ. ვ. გოგოლის პატივსაცემლად გამართულ იქმნა სალიტერატურო-ვოკალო-მუსიკალური დილა, რომელზედაც სკოლის მასწავლებელმა ვლ. დ. ცვეტნიცკიმ წაიკითხა ვრცელი რეფერატი გოგოლის მნიშვნელობის შესახებ, ხოლო შეგირდები ზეპირად მოუთხრობდნენ მსმენელთ პოეტის თხზულებების თვალსაჩინო ადგილებს. შეგირდები უკრავდნენ აგრეთვე სიმებიან ინსტრუმენტებზე და ასრულებდნენ სხვა და სხვა ქართულ-რუსულ სიმღერებს. დილას დაესწრნენ თ-დი კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანბატონი, გენერალი ჩოლოყაშვილი, გენერალი ერისთავი, სკოლის სამზრუნველოს კომიტეტის წევრები და მრავალი გარეშე პირნი. ამავე დღეს საღამოსვე სკოლის დარბაზში შეგირდების მიერ წარმოდგენილ იქმნა გოგოლის „Женитьба“, რომელსაც, სხვათა შორის, დაესწრო ტფილისის სახალხო სკოლების ინსპექტორი ვასილ ნიკიტის ძე პავლოვი.

⁂ ტფილისის სასულიერო სემინარიამ რუსთა მწერლის ნ. ვ. გოგოლის 50 წლის იუბილე სალიტერატურო და სამუსიკო საღამოს გამართვით გარდაიხადა 21-ს თებერვალს. საღამო დაიწყო საღამოს რვა საათზე ზალაში, რომელიც საუცხოვოდ იყო მორთული. სცენის წინ იდგა ყვავილებით მორთული გოგოლის სურათი.

საღამოს დაესწრნენ საქართველოს ეგზარხოსი ალექსი, ყოვლად-სამღვდელო გორის ეპისკოპოსი კირიონი, სემინარიის რექტორი და სხვა...

საღამოს დაწყებამდე სიტყვიერების მასწავლებელმა ალ. ივ. რჟავენსკიმ დაახასიათა გოგოლის და აღნიშნა პუშკინის გავლენა მასზე და ამ ორ მწერალთა შორის დამოკიდებულება. რუსულ მგალობელთა გუნდმა კარგად სთქვა რამდენიმე სიმღერა, ორკესტრმა შეასრულა „დიდება“ გოგოლისა და ბოლოს მგალობელ გუნდთან ერთად რუსული ჰიმნი „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა». მოსწავლეებმა წაიკითხეს ნაწყვეტები გოგოლის სხვა და სხვა თხზულებიდგან. მოწაფეებმა შეასრულეს სცენები „რევიზორიდგან», წაიკითხეს გოგოლის „დნეპრი» და რჩეული ადგილები „მიცვალებულთა სულებით»-გან.

საღამო ღამის 10-ს საათზე გათავდა და დამსრენი დიდად ნასიამოვნებნი დარჩნენ.

⁂ ამ თვის 21-ს ტფილისში გარდაიცვალა სომხურ ისტორიისა და არქეოლოგიის მოყვარული ა. დ. ერიცოვი. განსვენებული უყურადღებოდ არ სტოვებდა არც სხვა აქაურ ერთა ისტორიასა და არქეოლოგიას, თანამშრომლობდა აქაურს სომხურსა და რუსულს გამოცემებში და ერთს დროს თვით იყო რედაქტორ-გამომცემლად ისტორიულ-არქეოლოგიურ ჟურნალის „Кавказская Старина“-სი. ამ ჟურნალმა დიდ ხანს ვერ იცოცხლა ხელის მომწერთა სიმცირისა გამო. განსვენებული წარსულს კვირას, 24 თებერვალს, დიდძალი ხალხის თანადასწრებით დაასაფლავეს ხოჯივანქის სასაფლაოზე.

⁂ „კავკასის“ სიტყვით, ჩვენს ცნობილს ისტორიკოსს, არქეოლოგოსს მოსე გიორგის ძეს ჯანაშვილს უთხოვნია ნებართვა ქართულ თვიურ ჟურნალის გამოსაცემად ჟურნალის სახელად ერქმევა «მწიგნობარი», გამოვა ისტორიულ-არქეოლოგიურის პროგრამით და ეღირება წელიწადში ოთხ მანეთად.

⁂ ტფილისში უკვე დაბრუნდა პეტერბურგიდგან წევრი ტფილისის თავად-აზნაურობის

დეპუტაციისა და ბათუმის ქალაქის თავი თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

⁂ პატივცემული კნ. მაკინე ამირეჯიბისა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ქ. გორში 20 თებერვალს ქალების პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ გამართულ საცეკვაო სალამოდგან სულ შემოვიდა 260 მ. 5 კ. და აქედგან წმინდა შემოსავალი დარჩა 139 მ. 67 კაპ., რომელიც გარდაეცათ პროგიმნაზიის უფროსს. გარდა ამისა, კნეინა დიდს მადლობას უძღვნის ქ-ს ნ. გ. ავერკიევისას, მ. ი. წერეთლისას და ბბ. ვ. გვახარიას, მ. ციციშვილს და პ. კალაიჯოვს, რომელთაც დიდი დახმარება აღმოუჩენიათ მისთვის სალამოს გამართვაში, აგრეთვე ყველას, ვინც-კი ამ სალამოს დაესწრნენ და მით თანაგრძნობა გამოუცხადეს ღარიბ მოსწავლეთა დახმარების საქმესა.

⁂ სადგურ შამქორიდამ გვატყობინებენ, რომ აქ 24 თებერვალს ვაგონსა და ვაგონს შუა მოჰყვა თომა გუგელაშვილი, რომელიც საშინლად დაშავდა. ავადმყოფი გაგზავნეს განჯის საავადმყოფოში.

⁂ კვირას, თებერვლის 24-ს, ავჭალის ქუჩის წარმოდგენებისა და სახალხო კითხვითა შენობაში სცენის მოყვარეებმა შუადღის 12 საათზე ნ. ვ. გოგოლის ხსენების პატივსაცემად წარმოადგინეს „რევიზორი".

წარმოდგენის დაწყობამდენ ლ—მა დამსწრეთ მდაბიო, ყველასათვის გასაგებისნით გააცნო გოგოლი და აღნიშნა გოგოლის მნიშვნელობა რუსულ ლიტერატურაში.

თვით „რევიზორი" საერთოდ კარგად წარმოადგინეს სცენის მოყვარეებმა.

⁂ თებერვლის 21 კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების წევრთ კრება ჰქონდათ შენობაში. კრებამ აირჩია სასტატისტიკო ბიუროს წევრებად: გ. ჟურული, დანდუროვი, ზავაროვი, ვ. სულხანიშვილი და სოკოლოვი; საფილოქსერო კომიტეტის წევრებად: ბ-ნი ევანპულოვი, თ-დი ვახვახიშვილი და სულთან-კრიმ-გირეთ.

იმავე კრებამ დაამტკიცა შემოსავალ-გასავლის შემდეგი აღრიცხვა: 1) საზოგადოების გამოცემის ,,კავკასიის სასოფლო მეურნეობისა"; ამ აღრიცხვიდგან სჩანს, რომ გაზეთს შემოსავალი ექმნება 605 მანეთი და ხარჯი-კი 3,600 მანეთი; 2) მებაღეობის სკოლისა (17,227 მან. შემოსავალი და 17.027 ხარჯი); 3) თვით სამეურნეო საზოგადოების შემოსავალ-გასავლის ანგარიში წარსულის 1901 წლისა და ბოლოს მომდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაც (25.953 მანეთი შემოსავალი და 20,786 მან. ხარჯი).

⁂ Рускій Инвалидъ"-ში ვკითხულობთ შემოკლებულს ანგარიშს სამხედრო-ემერიტალურ კასის 1900 წლის ანგარიშს. ამ ანგარიშიდგან ვტყობილობთ, რომ 1900 წლის 1 იანვრამდე ემერიტალურს კასსას ჰქონდა 115.050,000 მან. თანხა. საანგარიშო წელს კასსას გაუცია პენსიად და სხვ. და სხვა გვარ დახმარების აღმოსაჩენად წევრთათვის 9.795,000 მან. იმავ ხნის განმავლობაში კასსას შეჰმატებია 1.032,000 მანეთი, და გარდა ამისა, მართებლობა შეწია კასსას 1.200,000 მანეთით კასსას ჯერობით არ შეუძლიან ყველა თავისი საჭიროებანი დააკმაყოფილოს საკუთარი თანხის სარგებლითა და სამხედრო კაცთა ჯამგირებიდგან ჩვეულებრივ გამოსარიცხავით. 1901 წ. 1 იანვარს კასსაში იყო: სარგებლიანი ქაღალდები 109.039,000 მანეთისა, ხელმწიფე იმპერატორისაგან ნაწყალობები 7.500,000 მან. და ნაღდ ფულად 13, 000 მანეთი. სულ 116.552,000 მანეთი.

⁂ ხუთშაბათს, 21-ს სცენის მოყვარეთ პირველად წარმოადგინეს რკინისგზის თეატრში „ფული და ხარისხი" აზ-სა და „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ''. პარასკევს 22 ამთვეს სახალხო თეატრში სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იყო ,,დატრიალდა ჯარა''.

წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა, განსაკუთრებით კარგად თამაშობდა გ. ანანიაშვილი გლეხის როლს (მსახურისას). ქს. ჯაბაურისასაც არა უშავდა-რა.

ვოდევილის შემდეგ კონცერტი იყო გამართული. მღეროდა საკმაოდ მწყობრისად გიორგი ელისაშვილის ხორო. შემდგარი მუშათაგან. სკრიპკაზედ უკრავდა ბ-ნი ცეიტლინი და ამავე დროს პიანინოზედ უკრავდა ქ-ნი პივოვაროვისა. ო. ბარათაშვილმა იმღერა „ნანა" პიანინოზედ აკომპანიმენტით. ევდოშვილმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა და აგრეთვე დ. ლორთქიფანიძემ,—ორთავემ კარგად წაიკითხეს ლექსები და ხალხიც აღტაცებით მიეგება.

იმერეთის ამბები.

⁂ ს. ნატანები: თებერვლის 21, დილის 10 საათზე, ოთხი ვიღაც ბოროტმოქმედი თავს დაჰსხმიან ფულიან ფოსტას ნატანების გზაზე, ნაწისქვილევთან, მეექვსე ვერსზე სად. ნატანებიდგან. ფული ყოფილა სულ 8,000 მ. ბოროტ-მოქმედთ დაუჭრიათ დარაჯი და მეეტლე ლონტი. ფოსტალიონს კალანდაძეს და დარაჯებს, როგორც დაჭრილს, ისე მეორესაც, ხელი გამოუღიათ, მეეტლეს მხნედ გაურეკია ცხენები და ფოსტა გადაურჩენიათ გაძარცვისაგან. დაჭრილთ ოზურგეთის სამხედრო საავადმყოფოში სწოლობენ.

⁂ ს. დიდი ჯიხაიში. თებერვლის 20-ს აქ აკურთხეს სასოფლო ქსენონი აუარებელის ხალხის თანდასწრებით. იმ დღესვე ორმოცდა-ათს ავადმყოფზე მეტი მიაწყდა ქსენონს.

აქაურს ბაზრობაზე ჯიბგირობა თან და თან ვრცელდება. ამ თვის 20 ერთ აქაურს მეწვრილმანე ვაჭარს ლ. კაჭახიძეს ჯიბიდგან ამოაცალეს 103 მანეთი, ორი-ორ გროშობით მოგროვილი. ქურდი ვინ იყო, დღესაც არ იციან.

ქ. ფოთი: 19 თებერვალს აქაურ საზოგადო კრების დარბაზში ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან ფოთის სამრევლო ორ-კლასიან სასწავლებლის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქმნა: 1) ,, ცოლი თუ გინდათ ეს არის'' 1 მოქმედებიანი ვოდევილი ვ. აბაშიძისა, 2) „იჭვიანი" 1 მოქმედებიანი ვოდევილი თ. რაფიელ ერისთავისა და 3) „ბუტიაობა" 1 მოქმ. ვოდევილი აკაკი წერეთლისა. დასასრულ გაიმართა ევროპიული ცეკვა და დამსწრეთ აჩვენეს ცოცხალი სურათები.

ამ საქველმოქმედო წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ. ქ. ალ. ჩაჩანიძე, თ. მალანია და მ. ტერაკოპოვი და ბ.-ბ. ლ. ახობაძე, თ. გოგიტიძე, ნ. დავიდოვი და ვ. ხარაბაძე, სულ შემოვიდა 111 მანეთი. წმინდა შემოსავალი 56 მანეთამდე დარჩა.

⁂ ს. მეწიეთი (გურია): ეს სოფელი (100 მოსახლე) ძალიან ღარიბია, ძალიან სივიწროვეა მიწისა და რაც არის ისიც უვარგისია. საყანე მიწები მეწიეთში ძალიან ცოტა აქვთ, რაცა აქვთ, ისიც უვარგისი და სახელმწიფო. ერთ ქცევაზე ბაჟი ერთი მანეთია და მოდის ოცი ფუთი სიმინდი. გზები არ ვარგა. ურემი ვერ დადის და ცხენებიც ძვირია. აქ უსაქმოდ გაჩერებულს კაცს იშვიათად ნახავთ, ყოველი ფერი აქაურმა კაცმა ზურგით უნდა ზიდოს სახლში. ამისთანა სივიწროვეს უნდა დაუმატოთ ოც მანეთამდის წლიური გადასახადი, სახემწიფო და სასოფლო, რაც მძიმე ტვირთად აწვება აქაურებს, რადგანაც შემოსავალი ფულად იმდენი არც-კი ექნება თითოეულ კომლს. სწავლის მხრითაც კოჭლობს ეს სოფელი. აქ არის ერთად-ერთი სამრევლო სკოლა, მაგრამ ის ვერასოდეს ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას: შიგ არც სტოლებია, არც სკამები, არც მოსწავლეები და ვინც არის, ისინიც ფეხზედ დგანან ყველანი.

გორის მაზრის სამეურნეო ამხანაგობის წევრთა კრება.

კვირას, 24 თებერვალს, ს. გომში შესდგა მორიგი საზოგადო კრება გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობისა. კრებამ მოისმინა წარსულის წლის მოქმედების ანგარიში და გამგეობის მოხსენება. როგორცა სჩანს ანგარიშიდან, ამხანაგობას 15,886 მან. 70 კაპ. ზარალი მოჰსვლია. ზარალის მიზეზები ყოფილა: წინა წელიწადში დაარსებულ სააგენტოების და განყოფილებების არა-შესაფერი მოწყობა და მოქმედება; ინვენტარის ხელ-ახლად შეფასება და ამის გამო მისი წინანდელ საფასის დაკლება; ძალიან მცირე მოგება ჰირნახულსა და სხვა სამეურნეო ნაწარმოებში დაწეულ ფასების გამო. აღნიშნული იყო, სხვათა შორის სამწუხარო მოვლენა: თურმე ამხანაგობის ზოგიერთი წევრთაგანი რამდენისამე კაპეიკის ინტერესის გამოისობით ამხანაგობის გარეშე ჰყიდდა თავისს მოსავალს. ამგვარ უსიამოვნო მოვლენის ასაცილებლად გამოითქვა აზრი წესდების შეცვლის შესახებ იმ გვარად, რომ სამეურნეო ნაწარმოების გაყიდვა ამხანაგობის საშუალებით სავალდებულო იყოს ყველა წევრისათვის. თქმა არ უნდა, ეს ზომა ძალიან ღონეს შეჰმატებს ჩვენს ნორჩს ამხანაგობას. გამგეობას დაევალა, რაც შეიძლება მალე შეიკრიბოს ის ფული, რომელიც ჰმართებს ზოგიერთს წევრს. კრებამ დაწვრილებით განიხილა წარმოდგენილი ანგარიში და ხანგრძლივის კამათის შემდეგ ერთხმად დაამტკიცა. კრებამ აგრეთვე ერთ-ხმად გარდასწყვიტა ზარალი წარსულის წლისა შეივსოს წესდების 65 მუხლის თანხმად სათადარიგო საჭიროების თანხებიდან; ხოლო დანარჩენი-წილის ფულისა ანუ აღებ-მისაცემ თანხიდან. რადგანაც ზარალის ამგვარად გაბათილების შემდეგ თითოეულმა საწევრო ფულმა უნდა დაიკლოს, ამიტომ კრებამ დაადგინა, რომ ყოველმა წევრმა თავისი წილის ფული ნორმამდე შეავსოს მომავალის 1903 წლის მარტის 1—მდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ამხანაგობიდან უნდა გამოვიდეს. ასეთი ხანგრძლივი ვადა იმიტომ დასდო კრებამ, რომ როგორც იმედი აქვთ, ამ წლის განმავლობაში ამხანაგობას საკმაოდ დიდი მოგება დარჩება წლის ბოლოს, ასე რომ საწევრო ფულის შესავსებლად მცირე შემოსატანი დასჭირდებათ. როგორც შევიტყეთ, ოცზე მეტს წევრს გარდაწყვეტილი აქვს ახლავე შეავსოს საწევრო გარდასახადი, რომ ამ საშუალებით გააძლიერონ სავაჭრო თანხა.

ანგარიშის დამტკიცების შემდეგ კრებამ განიხილა ამ წლისათვის შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც 5,580 მან. უდრის და წარსულ წლების ხარჯთ-აღრიცხვასთან შედარებით თითქმის 5000 მანეთით ნაკლებია. ასეთი შემცირება ხარჯისა გამოწვეულია გამგეობის სურვილით, რომ ამხანაგობას მეტი მოგება დარჩეს.

კრებამ აგრეთვე ნება დაჰრთო გამგეობას 50,000 მანეთამდე სესხის აღებისა კერძო პირებისაგან ანუ ბანკებიდან, თუ საქმის გარემოება ამას მოითხოვს.

ამ გვარად ამხანაგობის საქმეები სრულებით არ არის უნუგეშო მდგომარეობაში, როგორც ჰსურთ წარმოუდგინონ საზოგადოებას ზოგიერთს ბიუროტს ენებს. ზარალის შევსების შემდეგ საქმე ახლდება და თუ ხელმძღვანელნი გულ-მოდგინედ გაირჯებიან, ამხანაგობის საქმე ძალიან გამოკეთდება. ამხანაგობის წევრები არც ისე გულ-გრილად ეკიდებიან საქმეს, როგორც ამას წინად ზოგიერთ გაზეთში სწერდნენ. კრების გაგრძელება მოხდება მარტის 17-ს. უნდა ამოირჩიონ გამგეობის და ზედამხედველ კომიტეტის რამდენიმე წევრი და წრევანდელი მოქმედების საერთო გეგმა შეიმუშავონ.

გამგეობაში განზრახვა აქვთ ამოირჩიონ ისეთი პირები, რომელნიც გომს ახლო სცხოვრებენ და ხშირად შეუძლიანთ ამხანაგობაში მისვლა და ბეჯითად თვალ-ყურის დევნება.

ამ მოკლე ხანში გამოვესაუბრებით ჩვენს მკითხველებს იმის შესახებ, თუ როგორ არის სამჯობინარო ამხანაგობის საქმეების მოწყობა და ვუამბობთ, აგრეთვე ამ დაწესებულების დაარსების და მოქმედების ისტორიას.

Felix.

წმ. ნინოს ხატის შესახებ.

წავიკითხე საფუძვლიანი წერილი წმ. ნინოს და მისის დღესასწაულის აღდგენის შესახებ მღ. ი. ხატიაშვილისა და ჩვენ არა გვეთქმის რა იმაზე მეტი, რომ მისი სამართლიანი სურვილი ახლო მომავალში განხორციელებულიყოს. მამა ხატიაშვილის შემდეგი სიტყვები: „ურიგო არ იქნება იქმნეს გადაღებულ რამდენიმე ასი ცალი ხატი წ
ნოს ძველის ხატის დედნიდამ და დაურ
სამრევლო ეკლესიებს თავის [illegible]
თხვევას მაძლევს ორიოდე სიტყვით მო
ნიო სოფ. ნინო-წმინდის ტაძარში და
ორი წმ. ნინოს *) ფიცრის ხატი. სოფ.
ნო-წმინდაში იყო ოდესმე ნინოწმინდ
მიტროპოლიტების კათედრა, რომელიც ა
ბობდა მე-V საუკუნიდამ დაწყებული ვ
XIX საუკ. დასაწყისამდე (1811 წ.), როდ
სხვა ეპარქიებთან ერთად ნინოწმინდელ
გაუქმებულ იქმნა რუსების მფლობელო
დროს **). ერთ ფიცარზე, რომელსაც სიგრ
აქვს 14 ვერშოკი და სიგანე 11 ვერშ
წმ. ნინო დახატულია მუხლ-მოდრეკი
ცალ ხელში მას უჭირავს ჯვარი ვაზ
მეორეში—დახვეული ეტრატი (пергамент
ნაპირები ხატისა შეჭედილია ჩუქურთ
მოოქროვილ ვერცხლით. ისეთი მშვენი
მხვატრობაა, რომ თვალს ვერ მოაშორ
მისი ჰაეროვანი სახის გამომეტყველება, კ
ტა მოხდენილი ცხვირი, სიცოცხლით სა
შავი თვალები, „კალმით დახატული" წარ
ბი, თავზე მოსილი თეთრი მანდილი, რ
ლის ქვეშიდან მოჩანს შავი თმა და წელ
შემოჭირებული სარტყლით წარმოადგ
ტიპს ნამდვილ ქართველ ქალისას. საპინ
მიერ გამოცემულს წმ. ნინოს ხატს რომ
ვადაროთ, დიდ განსხვავებას ვნახავთ. გარ
იმისა, რომ უძველესია პირველზე, ბევრ
უმშვენიერესია მასზე. მისი ელვარება თითქ
გეუბნებათ: ხატი დიდი ხნისა არ უნდა იყ
მაგრამ მისი წარწერა მეორე გვერდზე მშ
ნიერი ბექდური ხელით გიმტკიცებთ, რ
საუკუნოებსაც-კი გაუვლიათ მარტო მისი
ნახლებიდამ. აი, თვითონ წარწერა: „ქ.
„წევნითა წმ. სამებისათა: მე ყოვლად ულირ
მან ნინოწმინდელ მიტროპოლიტმან: ტუ
ძემან საბამან: ფრიადითა გულმოდგინებით
გამოვახატვინე სატრფიალო სასოჲ ესე ჩ
ხატი წმიდისა ნინო მოციქულისა ყოვლ
ქართველთასა (?) მნათისა: დაკიდურნი ვეცხლ
თა პირველვე ჰედილნი კვალად განვა
ლენ და ზე ნაკიდურთა ეპიფანიაჲ მოოქრო
ვილვყავ ფრიად შვენიერად: მეფობასა ქა
თველთა ზედა თეიმურაზ ღვთივ ცხებულისა
და სასურველისა ძისა მისისა ირაკლი კახთა მ
ფისა: ხოლო აღმომკითხველთა გვქენები ყ
ეოველთა შენდობისა ყოფისათვის: განსრულ

ფელეტონი

დიკლო და შენაქო *)

ივანე ცისკარაშვილისა

(ვუძღვნი ავტორის შვილს დათიკოს).

I.

ზამთარი იყო. თეთრად დაეთოვლნა კავკასიონის ბუმბერაზი, მთები, რომლის ჩაღრმავებულ ვიწრო ღრე-ხევებში ოდნავ გაისმოდა წყლების ჩხრიალი დაზვავებულ გაყინულ თოვლის ქვეშიდან. შიმშილისა და ყინვისაგან შეწუხებული ნადირი საბრალოდ ღმუოდა გამოქვაბულებში.

შიოდა ნადირს და არც ამ მთის მცხოვრებნი—ლეკები-იყვნენ უკეთესს მდგომარეობაში.

ცეცხლის ბოლით დაბურულ სახლში იჯდა ერთი ლეკი და მთლად ფიქრებში გართული მისჩერებოდა ოდნავ მბჟუტავ ცეცხლს.

—ყველგან შიმშილია, წაიბუტბუტა თავისთვის ლეკმა,—პური არსად იპოება და ლეკებიც მზად არიან სათარეშოდ, ფეხზე წამოდგნენ... ვინ უნდა აირჩიონ წინამძღოლად, ვის შეუძლიან, თუ არ მე, უჩვენოს დავლის პოვნის სალსარი?!.. მე ვარ, მხოლოდ მე და მაშინ, ჰოი დიკლო და შენაქო, თქვენ უნდა მაგოთ პასუხი. თქვენგან დაკოდილი ეს ჩემი გული ჯერ არ გამთელებულა და არ დაწუნარებულა... ნაღველით და გესლით აღივსო ფიალა უფრო მას შემდეგ, რაც თქვენ, ვითომ-და უმოსავლობის გამო, უარი შემომითვალეთ... რუსებს წმიდა ვერცხლის მანეთები დუთვალეთ და ჩვენ ჰვის-კი ცოტა პური და საკლავი ცხვარიც-კი ვერ გაიმეტეთ... ვნახოთ, ვინ ინანებს, მე თუ ,თქვენ...

ამ დროს კარები გაიღო და შემოვიდა უზარმაზარის ტანის ლეკი, დურა ტყავში გახვეული, დაკონკილ ტანისამოსიანი, მედიდურის შეხედულებისა.

—კეთილი იყოს შენი მოსვლა, ახმედ,—მიესალმა სახლის პატრონი სტუმარს.

—ღმერთმა შეგინახოს, უპასუხა ლეკმა თავის დაკვრით.

—ჩვენმა საზოგადოებამ გამომგზავნა, ალდამო, შენთან, დაიწყო ახმედმა,—რომ გარდმოქცე, დროა თვალი მოვავლოთ ჩვენ მეზობელ თუშებს და თვითონ დავრწმუნდეთ მართლა უმოსავლობაა მიზეზი, რომ უარი შემოგვითვალეს, თუ სხვა რამე?... ჩქარა მთელ ჩვენს სოფელში პურის ნამცეციც აღარ იქნება და მაინც და მაინც, არის აი თუ არა პური, საჭიროა ველად გაეიდეთ. ხომ იცი ხანგრძლივის უსაქმურობით ლეკი ჰკარგავს მხნეობას და მასთან მამაცობასაც. ჩვენი წინაპრების ჩვეულება გვიკრძალავს შინ ჯდომას. შინ უნდა ისხდნენ ქალები—ეს იმათი საქმეა და ჩვენ ხომ ვაჟკაცები ვართ... ჩვენი სოფლის ვაჟკაცობა მზად არის და მხოლოდ, ხომ იცი, ცხვარს მწყემსი უჭირს. გაგვიძღე წინ, გაძლევთ სიტყვას, რომ ყველაფერში დაგვემორჩილებით, როგორც წინამძღოლს. წაგვიყვანე საითაც, გინდა, ოღონდ დავლა გვაშოვნინე...

—კარგი, უპასუხა ალდამამ და თვალებში სიხარულის ცეცხლი აენთო,—მე თანახმა ვარ. მოემზადენით, ხვალვე, დიკლო და შენაქოში უნდა გავიდეთ.

ახმედი წავიდა.

ალდამი იყო განთქმული თუშების მოსაზღვრე თავისუფალ ლეკების თემებს შორის, როგორც მამაცი წინამძღოლი თარეშობაში და მთელი დაღესტანი პატივსა სცემდა ამისათვის. არა ერთხელ დასცემია მოსაზღვრე ბარელებსთავს, დაუბუგნია სოფლები და ადარებელის ნადავლით დაბრუნებულა შინ. იმ საერთო სიმშილობის დროს, რაც იმ წელს ჩამოვარდა საზოგადოდ მთაში, ალდამიც ისევე ღარიბად იყო, როგორც სხვა მისი თანამოძმეები, რომელთათვისაც ერთად-ერთი სალსარი ცხოვრებისა მტაცებლობა იყო. დიკლომ და შენაქომ—ამ ორმა ლეკების მოსაზღვრე სოფელმა, რომლებიც განთქმულნი იყვნენ ავლა-დიდებით მთელ ჩაღმა თუშეთში, იმ წელს უმოსავლობის გამო დაპირებისამებრ ხარჯი არ მისცეს დაღესტნელებს. ეს დაიხვია ხელზე ალდამიმ, რომელსაც წინანდელი ჯავრიცა სჭირდა და მათი და დაახლოვებული ნათესავების შემწეობით ჩააგონა ლეკებს, საჭიროა დიკლოსსა და შენაქოზე გავილაშქროთ

II

გათენდა თებერვლის პირველი დღე 1838 წ. ჰთის კალთებსა და მწვერვალებზე მცურავმა ღრუბლებმა მაღლა-მაღლა აიწიეს. მზე უხვად აფრქვევდა თავისს სხივებს და ალისფრად ჰლებავდა თოვლით და ყინულით მოცულს მთებს. ამ თოვლის თეთრ ზეწრით შემოსილ მთებს შორის მოსჩანდა სოფ. დიკლო, მისი სიპი ქვით აგებული სახლები და ციხე-კოშკები შავად გამოიყურებოდა. სახლების სარკმლებიდან გამოდიოდა ცეცხლის ბოლი, ადიოდა მაღლა-მაღლა და იფანტებოდა გაყინულ ჰაერში. სდუმდა დიკლო, ხმა, კრინტი არსაიდან არ ისმოდა, თითქო სიკვდილი დასტრიალებს თავსაო. ერთ ციხის წინ, მოედანზე, გამოჩნდა რამდენიმე მოხუცი ყავარჯნით ხელში, რომელნიც მოუთმენლად გაიყურებოდნენ მტრის მხარესაკენ. ჩქარა მოედანი აივსო ხალხით. გამოჩნდა შორიდან ვიღაც უცნობი მხედარი, რომელიც მოაჭენებდა სოფლისაკენ ცხენს: ხან მოეფარებოდა გორაკს და ხან ისევ გამოჩნდებოდა.

— დიდო ვარ,—სთქვა მოსულმა მხედარმა,—თქვენი კარგა ყოფნის და ბედნიერების მეტი არა სურთ-რა დიდოეპას, მაგრამ, საუბედუროდ, არ შეუძლიანთ აიცდინონ თქვენ თავს უბედურობა! მოულბეთ გული ალდამს, როგორმე აიცდინეთ უბედურობა, თორემ გააფთრებული მგელი თავს დაგეცემათ მოულოდნელად და იმ ალაგას, სადაც აღმართულია თქვენი სახლები და ციხე-კოშკები, ქვა ქვაზე აღარ დარჩება... ცეცხლი შთანთქავს თქვენს სარჩო-საბადებელს. თქვენს ცოლშვილს ტყვეთ წაასხამენ. ნურა იმედს ნუ დაემყარებით. თქვენი ვაჟ-აცობა, წინააღმდეგობა ამაო იქნება მთელ აღვარებულ დაღესტნის წინაშე...

— მოვიდნენ!..—დაიძახეს ახალგაზდებმა, - და ჩვენც აქ დავუხდებით.

— არი, სთქვეს მოხუცებულებმა, რომელნიც, რასაკვირველია, ბევრ ამნაირს საქმეში უფრო გამოცდილები იყვნენ,—ერთი მუჭა თავგანწირულ ვაჟკაცებისა ვერ დაიცავს სოფელს, ცოლ-შვილს, ვერ გაუმკლავდება აფთა
მტერს. და მაინც და მაინც, თუ სოფელ
ვერ აიღებენ, ალყას შემოგვარტყავენ დ
სულ სიმშილით და სიცივით ამოგვხოცავენ

— დეე, მივცეთ რამე, დავაკმაყოფილო
დამშეული ნადირი,—განმარტა რამდენმა
—ჩვენ კიდევ ვიშოვნით...

ეგრე ყქნათ, ეგრე და აბა ახლა შევევედ
როდ ჩვენს ხატებს.

პატარა ხანს უკან მოიყვანეს დასაკლავ
კურატები. დეკანოზმა დაჰკლა, მათის სის-
ხლით გამოისახა შუბლზე ჯვარი დ
დაიწყო მქეხარე ხმით ლოცვა: წმიდაო
ღმერთო, წმიდაო გიორგი, წმიდაო სამებაო,
წმიდაო თეოდორევ, ჯვარო ლაშარისაო,
ჯვარო კოპალისაო, ჯვარო ხახმატისაო, მოი-
ღეთ ჩვენზე წყალობა და აგვაშორეთ ყოვე
ლი უბედურება... მოგვეცით მტრებზე გამარ
ჯვება, აგვაშორეთ სეტყვასა, სიმშილსა, წყუ
რვილსა, ალვარებულ წყალსა, დაგორებულ
ქვასა, ნადირსა დადედაკაცის ჭორსა, ამინ!..

— ამინ!—გაიმეორეს ერთხმად მლოცავე-
ბმა და გაიყვეს შემდეგ ერთმანეთში კურატე
ბის ხორცი.

ჩაესვენა მზე. ღამის წყვდიადმა შთანთქ
დიკლო და მისი თოვლით შემოსილი არე-
მარე. დაჰქროლა ყინვის ქარმა, აამტვერ
თოვლი და მიაყარა დიკლოს სახლებს დ
ციხე-სიმაგრეებს. მშვიდად ეძინათ დიკლოე-
ლებს. არ ესმოდათ ქარის საშინელი ღმუი-
ლი, სტვენა და გულსაკლავი წკნავილი სი-
ცივისაგან შეწუხებულ ძოფაკებისა...

გავარდა თოფი. მის ხმაზე ფეხზე დადგნენ
დიკლოელები, მაგრამ თქვენს მტერს, რო

---

*) ნინო თუ ნინა? ეჭვს გარეშეა, რომ სიტყვა ნ
ნო უფრო ქართულია, ვიდრე ნინა. ქართლის მოქ
ვაში სწერია ნინო (იხ. ქრონიკები თედ. ჟორ
ნიასი, გვ. 28). ძველის ხატების და ნივთების წარ
რაც ამასვე ამტკიცებს. ჩვენი გამოჩენილი პედაგო
ი. ს. გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებში ხმ
რობს სიტყვას „ნინო", და ჩვენ ყოველ-დღიურ ქა
თულ მწერლობაშიაც ამ სიტყვას ხმარობენ. მაგრ
ჩვენ საეკლესიო წიგნებში: სადღესასწაულოში, ჟამნ
კურთხევანში და კონდაკში მეთვრამეტე საუკუ
ბოლოდამ დაწყებული ვიდრე დღევანდლამდე სწერ
„ნინა". ქართველი მღვდლები, ვისაც კი მე მინ
ხავს, ჩამოლოცვის დროს ნინოს მაგივრად ამბობ
ნინას.

მღ. ა. გ.

**) იხ ვახუშტის გეოგრაფია გვ. 592 და «Крат
кій очеркъ исторіи Грузинской церкви и Экза
хата за XIX столѣтіе. Епископа Киріона, с
48—54.

*) ივანე ცისკარაშვილი, ფრიად მოხუცებული. თანამედროვეა აქ აღწერილ ამბისა. დაწერილია ახალ შთაბეჭდილების გავლენით. დაბეჭდილი იყო ეს მოთხრობა რუსულად.

მთარგმნელი.

და ნოემბერსა კ: ქრისტეს აქათ: წელსა ჩღნთ“ 1759 წ. 20 ნოემბერსა).

მეორე ფიცრის ხატი, სიგრძით 12 ვერშოკი და სიგანით 10 ვერშოკი, გარშემოვლებული ვერცხლის მოოქროვილ ჩუქურთმიან სალტით, უნდა იყოს **უძველესი** პირველ ხატზე. შუა ადგილას წმ. ნინო არის დახატული, ერთ ხელში უჭირავს ჯვარი, მეორე ხელში გაშლილი ეტრატი. წმ. ნინოს გარშემო 24 შემთხვევა არის გამოხატული მის ცხოვრებიდამ. თავ-თავის ადგილას ხუცური ასოებით აქვს შემდეგი წარწერები:

„აქ: ყ-დ: წმ.: გამოეცხადა: ნინოს: და: მისცა: ჯვარი: ვაზისა: და: რქვა: წარვედ: ჩრდილოეთ: უქადაგე: სახარება:

აქ: წარჩინებულისა: ვისიმე: ძე: განკურნა: წმიდამან:

აქ: მწყემსთაგან: იუწყა მცხეთა: და ანგელოზმან მისცა წერილი: რათა მირიანეს მიერთვას:

აქა: ძე: მეფისა: შეპყრობილი მხრ... განკურნა წმ.

აქა: ასული: დედა-კაცისა: ვისიმე განკურნა სულთაგან: არა წმინათა:

აქ: მეფეს: მირიანს: დაუბნელდა: სდგას: და ევედრა: წმ.: და: გამობრწყინდა: მზე:

დედოფალმან მწრაფი კურნება: წმიდისაგან მოუთხრა: მეფეს: მირიანს:

აქა კერპნი შემუსრა ლოცვით:

აქა სიკვდილი და ტაძრად დაფვლა წ~ა:

თვით გვირგვინოსანნი საქართველოს მეფენი სოფ. ნინო-წმინდის ტაძარს დიდ ყურადღებას აქცევდენ, ამკობდენენ მას ძვირფასი ხატებითა, ნივთებითა და სამკაულითა *). განსაკუთრებითს ყურადღებას იქცევს მეფე ირაკლი II დედის მიერ შეწირული დაფარნა. სიგრძე დაფარნისა 1 არშინი და 4 ვერშოკია, სიგანე 1 არშინი. დაფარნა ოქრომკედით არის ნაკერი; შუა ადგილას გამოყვანილია ჯვარი, რომელსაც შემოჰხვევია გაფოთლილი ვაზი დამწიფებულ ყურძნის მტევნებით. თქვენ გაკვირვებთ განვითარებული ხელოვნება და გულსმოდგინეთ დაფარნის ოქრომკედით ქსოვნა-კერვა, რაც დიდად სასახელოდ უნდა ჩაეთვალოს ძველის დროის ქართველ ქალებს. დაფარნა ჩვენ დრომდის მშვენივრად შენახულა. მხოლოდ შიგნითი პირი გაჰხუნებია. ჯვარის თავზე ოქრომკედით ხუცურად სწერია: „იესო ქრისტე ძლევა“. ჯვარის ბოლოში სწერია: საქართველოს: მეფ.: ვახტანგის ასულმა: და კახტ მეფის დავითის რძალმა და ბატონიშვილის თემურაზის (Sic) თანამეცხედრემ. ბატონიშვილისმა თამარ შევაკერინეი დაფარნა: ესე: და შევწირე საქართველოს წმ. ნინოს: დღეთა: ჩვენთა: წარსამატებელად და სულთა ჩვენთა საოხათ: ქ-სა უვ.

მღ. ალ. გულისაშვილი.

---

*) იხ. ჩემი წერილი გაზეთ „დროებაში“ № 225, 1884 წ. (აღწერა ნინო-წმინდის ტაძრის სიძველეთა).

რუსეთი

ოფიციალურ „ფინლ. გაზ.“-ში მთავრობის მიერ გამოცხადებულია შემდეგი:

1890 წ. ბევრს ფინლანდურ გაზეთში დაბეჭდილი იყო მოწოდება უმაღლესის მთავრობის წინააღმდეგ საერთო პროტესტის გამოსაცხადებლად.

„ჩვენ მოგიწვევთ, ეწერა ამ მოწოდებაში, ფინლანდიის თემებს შეიკრიბოთ სათემო ყრილობაზე და ამოირჩიოთ დეპუტატები, რომელთაც უნდა გამოსთქვან მონარქის წინაშე უქვეშევრდომილესი გრძნობა მწუხარებისა უკვე მომხდარ და აგრეთვე მომავალში განზრახულ ცვლილებათა გამო“... და „გამოსთქვათ იმედი, რომ ეს განკარგულებანი გაუქმებულ იქმნას“.

„ასეთის საზოგადოებრივის აზრის პირდაპირი გამოთქმა აუცილებლად საჭიროა დღეს, მიუხედავად იმისა, მოჰყვება თუ არა სასურველი შედეგი“.

ეს მოწოდება იყო პირველი აგიტაცია მთავრობის წინააღმდეგ მიმართული ფინურ პრესსაში. ამას თან მოჰყვა შემდეგ სხვა წერილები შესაზარის შინაარსისა, რომელიც მიმართული იყო არამც თუ ყოველისავე რუსულის წინააღმდეგ, არამედ ამ წერილების ავტორები ჰბედავდნენ თვით მონარქის მოსაზრებათა კრიტიკას და ამით არღვევდნენ იმპერატორის ალექსანდრე II-ის ბრძანებას, რომ ბეჭდვითის სიტყვით განკიცხვა ეკკლესიისა, და ტახტისა მთავრობისა მოსათმენი არ არისო.

მალე გამოაშკარავდა, რომ მთელი ფინლიანდიის პრესსა ემორჩილება საიდუმლო ცენტრალურს გამგეობას, რომელიც ხელმძღვანელობს მთავრობის განკარგულებათა განკიცხვის დროს.

ამ წერილებში ერთი აზრია გამოთქმული, ხშირად ერთნაირის სიტყვებით, თუმცა გაზეთები სულ სხვა და სხვა ადგილას იბეჭდება და სხვა-და-სხვა ენაზე.

მთავრობამ უკვე მოახერხა და მიღებულ ღონის-ძიებით განდევნა პრესიდგან მავნებელი წერილები, მაგრამ ახლა, სამაგიეროდ, ძლიერ განვითარდა უკანონო პრესსა—წიგნაკები, ფურცლები, დროგამოშვებითი გამოცემანი, გაზეთები „Fria Ord“ და „Maantaina“. ამ გამოცემათა უმრავლესი ნაწილი დაბეჭდილია შვეციაში და ინგლისში; გაზეთ „Fria Ord“-ზე აშკარად იღებენ ხელის მოწერას სტოკჰოლმში.

რადგან ფინლიანდიის საზღვრებზე თვალყურის დევნება ძალიან სუსტია, ამიტომ უკანონო გამოცემანი ადვილად შემოაქვთ ფინლანდიაში და ბევრს ავრცელებენ ხალხში.

წიგნაკებს და ფურცლებს უმთავრესად მუქთად ურიგებენ მცხოვრებლებს და ხალხს აყენებენ ცუდსა და მავნებელ გზაზე. უკანონო პრესსა ურჩევს ხალხს, პასსიური წინააღმდეგობა გაუწიოს მთავრობის ყოველსავე განკარგულებას, ასწავლის მოხელეთ მოიკატს (პირის შეკვრას), აქვეყნებს დასასჯელ მსხვერპლის სახელს და ბინადრობას, სამშობლოს გმირებად სახავს იმათ, რომელნიც ივიწყებენ ფიცის მოვალეობას და ადგებიან მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციის მიერ ნაჩვენებ გზას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უკანონო პრესა აქებს იმათ, რომელთაც წინად ყველა დასცინოდა სამსახურში უვარგისობისა გამო.

უფრო და უფრო ხშირად ისმის იმ კაცებს მხრივ, რომელნიც ერთგულად ემსახურებიან მეფეს და სამშობლოს, თუ რა დიდი ვნება მოაქვს უკანონო პრესას მათთვის, არამც თუ იმით, რომ ჰქმნიან მით ბოიკოტის მსხვერპლად, არამედ იმითაც, რომ ძირს უთხრიან მთავრობის ავტორიტეტს.

რასაკვირველია, ასე დიდად განვითარებულ ბოროტებასთან საბრძოლველად საჭიროა სერიოზული მონაწილეობა პოლიციისა, რომელიც დღეს ძალიან მცირეა.

ჰელსინგფორსის პოლიციამ მაინც მოახერხა და დაამტკიცა, რომ გამიჯვნის უმთავრესს გამგეობაში მსახურ იკვარ გრუნდსტრემის ბინაზე და მაგისტრ გუმერუს ბინაზე მოთავსებულია აკრძალულ წიგნების და გაზეთების საწყობნი. 6 თებერვალს ორივე ბინა ბეჭდვითის სიტყვის უმთავრესს გამგეობის წარმომადგენლების თანადასრებით გაჩხრეკილ იქმნა პოლიციის მიერ. გრუნდსტრემთან, რომელიც სახლში არ იყო, ნახეს ეზოში აღკრძალული გამოცემანი. გრუნდსტრემს მისვლის შემდეგ ცენზორი და პოლიციელნი შევიდნენ მის სახლში გასაჩხრეკად. ამ დროს იქვე შევიდა ადვოკატი იონა კასტრენი, რომელიც ხმა მაღლა უშვერის სიტყვებით ლანძღავდა პოლიციას. კასტრენი მივიდა პოლიციის კომისართან, რომელიც ამ დროს ტელეფონით ატყობინებდა გაჩხრეკის ამბავს პოლიცმეისტერს, გამოსტაცა ხელიდგან ტელეფონის აპარატი და დაიწყო ყვირილი—გაეთრიეთ აქედანაო.

ბეჭდვითის სიტყვის უმთავრესს გამგეობის წარმომადგენელი მოელაპარაკა ბინის პატრონს და საჭიროდ არ დაინახა გაჩხრეკის განგრძობა და ამიტომ პოლიციამ თავი დაანება გრუნდსტრემის ბინას.

დაჭერილი წიგნები-კი ფაიტონში ჩაწყეს პოლიციის განყოფილებაში გასაგზავნად, სადაც შედგენილი უნდა ყოფილიყო ოქმი.

ამ დროს ეზოში შემოვიდნენ წიგნის ვაჭარი ხაველსტამი, ექიმი ტერნერი, მაგისტრი ლუნსტრემი და ჰელსინგფორსის რადგაუზის სასამართლოს რატმანი ლინდბერგი, რომელთაც ურჩიეს მეეტლეს პოლიციის კომისარს ნუ დაუჯერებ და წიგნებს ნუ წაიღებო, და ძალათაც აკავებდნენ მეეტლეს. მხოლოდ როდესაც კომისარმა თვითონ მოკიდა ხელი ცხენს, მაშინ შეიქნა შესაძლებელი წიგნების წაღება.

ბეჭდვითის სიტყვის უმთავრესთ გამგეობის მეორე წარმომადგენელი პოლიციის მოხელეების თანადასწრებით მივიდა გუმერუსის ბინაზე. აუხსნა ბინის პატრონს მოსულის საგანი. გუმერუსმა გამოიტანა წინა წლების Fria Ord-ის რამდენიმე ნომერი. ცენზორმა მოახდინა გარეგნობით, დათვალიერება ბინისა და დაწვრილებითი გაჩხრეკა-კი არ დაინახა საჭიროდ.

იმავე ღამეს ორ საათზე ალბერტის ქუჩაზე მდგარმა პოლიციელმა შენიშნა—იმ ეზოს კარებიდგან, სადაც მეორე გაჩხრეკა მოხდა, ორი მძიმედ დატვირთული ურემი გამოვიდა. ამ დროს საქონლის გადაზიდვა და დაბეჭდილის ფურცლების ურემზე დანახვამ ეჭვი აღუძრა პოლიციელს; მან განიზრახა მეურმეს დაკავება, ხელი უტაცა ცხენს, მაგრამ ცხენი გაუსხლტა ხელიდგან და ურემი წავიდა. პოლიციელმა მოინდომა მეორე მეურმის დაჭერა, მაგრამ ამ უკანასკნელმა შემოჰკრა მათრახი პოლიციელს და გაიქცა.

ყველა ამის შესახებ გამოძიებაა დანიშნული.

უცხოეთი

სამხრეთ-აფრიკის ომი. კიტჩნერი ხელახლა წინანდელ ტაქტიკას დაადგა: მამაცი მთავარ-სარდალი დაუყოვნებლივ აცნობებს ხოლმე ლონდონში თავის ჯარის მცირე გამარჯვებასაც-კი, ხოლო დამარცხებაზედ ხმასაც არ იღებს. როგორც ბერლინში მიღებულ ცნობებიდგან სჩანს, 10 და 11 თებერვალს ბურებს ძლიერ დაუმარცხებიათ ინგლისელები. გაზეთების სიტყვით, ლედი-სმიტის შემდეგ ინგლისელებს ისეთი დამარცხება არ გამოუცდიათ, როგორც ეხლა გამოსცადეს. 10 თებერვალს ღამე 600 ბური თავს დასხმია პოლკოვნიკის ბინგის მოწინავე ჯარსა და ძლიერ დაუმარცხებია. მეორე ღამეს, 11 თებერვალს, ბურები დასცემიან ინგლისის სურსათის ურმებს. ურმებს სდარაჯობდა ხუთი ბატალიონი იომანრის ჯარისა და სამი როტა მსროლელთა ჯარისა. ორი ზარბაზანი ჰქონიათ ინგლისელებს. ურმები სულ ერთიან წაურთმევიათ. ამ ცხარე ბრძოლაში, ბერლინელ გაზეთების სიტყვით, ინგლისელებს 1000 კაცამდე დაუკარგნიათ.

ინგლისის ჯარის-კაცნი აღარაფრად აგდებენ ტყვეთ ყოფნას. იციან, რომ ბურები მალე გაანთავისუფლებენ, ამიტომ ბევრჯელ სიამოვნებით უცხადებენ მტერს მორჩილებას. ფიქსბურგის მიდამოებში 150 ჯარის-კაცია თურმე ინგლისის გენერლების მიერ გაგზავნილი. ამ მეომარს არც თოფები აქვთ, არც სხვა რამ იარაღი. ფიქსბურგში ეს ჯარის-კაცნი დასასჯელად არიან გაგზავნილნი, რადგანაც თვითეული მათგანი სამ სამჯერ მაინც დამორჩილებია მტერს. ეს ჯარის-კაცნი რენდლის რაზმიდგან არიან. უკანასკნელ დატყვევების შემდეგ დევეტს ისინი ინგლისელ გენერალ კნოკსთან გაუგზავნია, მაგრამ ამ გენერალს არ მიუღია და არც საქმელი და ტანისამოსი მიუცია მათთვის. ეხლა ამ „მამაც მეომრებს“ ერთი ადგილი მიუჩინეს, სადაც ისინი უიარაღოდ სცხოვრობენ და სახელმწიფო პურსა სჭამენ.

ინგლისი. 15 თებერვალს ერთმა ირლანდიელმა დეპუტატმა დილლონმა, რათა პალატის ყურადღება მიექცია ირლანდიის გაჭირვებასათვის, წინადადება შეიტანა, ამაგირი შეუმცირდეს იმ მინისტრის, რომელიც ირლანდიის საქმეებს განაგებს. ორატორმა გაჰკიცხა მთავრობა ირლანდიაში ძალ-მომრეობის პოლიტიკის გაბატონებსათვის; გაჰკიცხა პოლიცია, რომელიც კანონის წინააღმდეგ [illegible] და მიტინგების ნებას არ აძლევს. [illegible] მართლოდ იქცევა, როდესაც აპატიმრებს ლიგის წევრებს და ირლანდიელ დეპუტატებს. დასასრულ დილლონმა გააფთხილა მთავრობა, რომ ასეთ ძალ-მომრეობის პოლიტიკას უეჭველად საიდუმლო საზოგადოებათა დაარსება მოჰყვებაო. დილლონის აზრს როსსელიც დაეთანხმა: თვით მთავრობა უწყობს ხელს არეულობასაო, სთქვა იმან. ჯონ მორლეიმ უკანონო საქმედ ჩასთვალა ირლანდიელ დეპუტატთა დაპატიმრება. ირლანდიაში არეულობანი მანამდე არ მოისპობაო, სთქვა მორლეიმ, ვიდრე მთავრობა ხელს არ აიღებს ძალ-მომრეობის პოლიტიკაზეო.

ამ ორატორების სიტყვები თან-და-თან მართლდება. არეულობანი ირლანდიაში ძლიერდება. ლამისაა ირლანდიელნი სიტყვის ნაცვლად საქმეს შეუდგნენ და იარაღი აისხან. ამას წინად გლეხთა ბრბო, ლიგის წევრნი, კროკალისის მინდორში შეკრებილიყვნენ, თუმცა მოხელეებმა სასტიკად აღკრძალეს მიტინგი. ბრბომ, მოისმინა-რა სიტყვები ორატორთა, რომელთაც შეკრებილთ იარაღის ასხმა ურჩიეს ინგლისის წინააღმდეგ საბრძოლველად, მახლობელს სოფლებზედ გაიარა ყვირილით და ღრიალით. პოლიციელებმა სროლა დაუწყეს გლეხებს. მანიფესტანტები დაიშალნენ, მაგრამ ძალიან აღელვებულნი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენის პატივცემულ გაზეთი ,,ივერიის'' საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ყველა იმათ, ვინც კეთილ ინება და ჩემდამო რწმუნებულს კალაგონის სამრევლო სკოლას ფულად შემწეობა აღმოუჩინა.

სია შემომწირველთა: პასიონ სვიმონის ძე ჭკუასელმა—5 მ., ირაკლი ხუნდაძე—34 მ., მიტროფანე ლილიძემ—3 მ., ი. ი. ოცხელმა—2 მ. გიორგი სალუქვაძემ-2 მ., მღვდელმა აბესაძემ, ს. გ. ყიფიანმა, ბ. ი. ვოლსკის ასულმა, ი. ი. ნიკოლაიშვილმა, მ. ო. ჩინჩალაძემ, ნ. ბ. ხელთუფლიშვილის ასულმა, ვ. ი. ბეჟანეიშვილმა, ე. დ. ჰეჰინაძემ, კ. დ. ბაქრაძემ, ისიდ. აბზიანიძემ, თავ. ნიკო ნიჟარაძემ, ტარიელ გაბუნიამ, ფილიპე ო. ანჯაფარიძემ, ივლიანე ძნელაძემ და ფეოდოსი ძნელაძისამ, ბოლქვაძის ასულმა—თითო მანეთიგ. მ. ცაგერეიშვილმა, თ. ე. მთავრიშვილმა, ნოე ლაღიძემ, ბეგლარ ასათიანმა, ბიკტორ ბალანჩივაძემ, პავლე წერეთელმა და გიორგი ცინცაძემ—ათ-ათი შაური. მთელად—34 მან. და ათი შაური. შემომწირველთ უღრმესს მადლობას ვუცხადებ და კვლავ ვუსურვებ კალაგონის სამრევლო სკოლას, რომ ასეთნი გულშემატკივარნი არ მოკლებოდეს.

წინად შევკრიბე ამავე სკოლის სასარგებლოდ ქ. თბილისში 72 მანეთი, რაც გამოცხადებულია მადლობით ამა წლის „ივერიის“ მე 7 № ში. მთელს ანგარიშს, თუ რას მოხმარდა

იმათ სანახავი დაინახეს. ათი-ათასი დალესტნელი გარს ერტყა დიკლოს.

დიკლოელები გამოვიდნენ და სთხოვეს შენდობა და მშვიდობა, აღუთქვეს მიცემა, რასაც მოსთხოვდნენ, ოღონდ სოფლისათვის არა ევნოთ რა.

— შეგინდობთ!—სთქვა ალდამიმ — დიკლოელებს და შენაქოელებს-კი არასოდეს დიკლოელებმა აუსრულეს წადილი და მისცეს ამანათად თექვსმეტი საპატიო კაცი *) და, როგორც მოითხოვდა ჩვეულება, შესცვალეს ტყვიები—ნიშანი შერიგებისა და მშვიდობისა. გახარებული დიკლოელები უყურებდნენ თავიანთ სახლებიდან, როგორ მიდიოდა გაბრუნებული ლეკის ჯარი.

საქმის ამ ნაარად გათავებით კმაყოფილნი არ იყვნენ ალდამის მეომრები.

— ჩვენმა მამა-პაპებმა იმისთვის დაგვიტოვეს იარაღი,—გაისმოდა საყვედური მეომარ ლეკების, რომ მით გვეშოვა საჭმელთან ერთად სახელიც. ალაჰმა იცის, რომ ჩვენ სრულიად არ გვინდოდა დიკლოელების დაჩაგვრა და შეურაცხყოფა. მაგრამ, თუ მოყელით მხოლოდ იმისთვის, რომ მარტოფური და ცხვარი ავილოთ, ეგ ვერაფერი სასახელო საქმეა. არც ერთი ტყვე, არც ერთი თოფის სროლა! ეს რაღა მოსვლაა? ჩვენი სიცოცხლე რა სიცოცხლეა თუ უომრად შინ დავბრუნდეიბით....

არც ალდამი იყო დამშვიდებული. მისი გაუმაძღარი გული არ კმაყოფილდებოდა. შურით შეჰყურებდა დიკლოს, რომელიც თან და თან შორსა რჩებოდა და უფრო და უფრო იმალებოდა. ამასთან მეომრების საყვედური უფრო უნთებდა შურის.ძიებით აღვსილ გულს. ველარ გაუძლო ალდამმა თავისს გესლით და ნაღვლით აღვსილ გულს, გაბრუნდა უკან ჯარი. იქვე ლეკის ხირიმმა და მით აცნობეს დიკლოელებს თავს დამტყდარი უბედურება. ცეცხლის ალმა შთანთქა დიკლო. მისგან ავარდნილი ბოლი შეუერთდა დილის ზამთრის ბურუსს, იარაღის ჩხარა-ჩხური ტირილი, წყევა-მუქარა მებრძოლთა, კვნესა და გმინვა მომაკვდავებისა უერთდებოდა გაშმაგებულ ქარის ქროლას.... უწყალოდ იხოცებოდნენ დიკლოელები. სიმრავლემ სძლია თავგანწირულ ვაჟკაცობას. გადარჩენის იმედი მხოლოდ მათ შერჩენოდათ, რომელთაც მოასწრეს და შეიფარი თავი ციხე-სიმაგრეებში!..

ამანათად წაყვანილი კაცები უყურებდნენ თავიანთ ცეცხლ-მოკიდებულ სოფელს, ცოლშვილის დატყვევებას და მოძმეთა ხოცვა-ჟლეტას მეტის ბრაზით ხან ბორკილებს ღრღნიდნენ, ხან სწყევლიდნენ მოღალატე და ვერაგ ალთამის და მის მეომრებს; ხან ემუდარებოდნენ, რომ ჩქარა ბოლო მოეღოთ მათთვის, რადგანაც აუტანელიყო მათი მდგომარეობა...

ანთებულ სისხლ-მორეულ თვალებით ყურს უგდებდა ამანათ თუშებს. ბოლოს ერთია ლდამი მხეცურად გაიღიმა და მიუბრუნდა მხლებლებს.

— შესწირეთ მათი თავები ალლაჰს, რომ ყური აღარ ათხოვოს მათ ლაპარაკს.

— სამართლიანი შურის-ძიება სასურველია თვით ალლაჰისათვისაც,—უთხრეს ვერაგ წინამძღოლს მისის ბრძანების აღმასრულებლებმა.

ლეკებმა დაიწყეს ამანათების სათითაო გაყვანა და თავების კვეთა. ეს ხდებოდა ერთის ციხის წინ. ათის წლის ბავშვი, რომელიც დამალულიყო ამ ციხეში, გულ-გახეთქილი გამოიყურებოდა სათოფურიდან და ჰხედავდა შესაზარ სურათს. ბავშვმა უცბად მოჰკრა თვალი ბორკილ გაყრილ სასიკვდილოდ მომზადებულ თავის მამას. სწრაფად მიბრუნდა და დაუძახა დედას, მაგრამ იმათ ტირილისა და გოდების გამო ყური არ ათხოვეს. ამ დროს თვალებმა როგორღაც საზარლად დაუწყო ბავშვს ელვა, ტუჩებმა თრთოლა გაიხედა ისევ სათოფურში—მისი შებოჭილი მამა მიჰყავდა ჯალთს თავის მოსაკვეთად. უცბად მივარდა აღშფოთებული ბავშვი მეორე კედელს, ჩამოიღო მამის ხირიმი, გასდო სათოფურში და დაუმიზნა მრთოლარე ხელიდი იგრიალა თოფმა და განგმირული ჯალათი დავარდა მკვდარი მის მამის გვამზე!.. არ შეწყვეტილა ამის შემდეგ იმ ციხიდან თოფის ჩქამი. ალდამის მეათე მხლებელი დაეცა მკვდარი. დინარჩენები შიშმა აიტანა და გაიფანტ-გამოიფანტნენ.

— ვინც ამ თავხედ თოფის მსროლელის თავს მომიტანს, მთხოვოს რაც უნდა!—წამოიძახა ბრაზ-მორეულმა ალდამიმ.

მსურველი არავინ არ გამოჩნდა.

ბოლოს გამოვიდა ერთი და აღსთქვა თავხედის ბოლოს მოღება. მოუარა ციხეს მეორე მხრიდან., შეუმჩნეველად მიეპარა, გამოუთხარა კედელს ერთ ალაგას საძირკველი, ჩაყარა თოფის წამალი, მისცა ანთებულ პატრუკი და გასცილდა რამდენისამე წუთის შემდეგ იფეთქა წამალმა იგრიალა და ციხის კედლის ერთი კუთხე ჩამოიქცა, შეცვივდნენ ლეკები ციხეში, გამო იყვანეს რამდენიმ მანდილოსანი და თავხედი თოფის მსროლელი ათის წლის ბავშვი. სამი წლის წამების შემდეგ, გმირმა ბავშმა განუტევა სული თავის მამის გვამზე. მოკვდა ბავში გმირულად; საშინელი წამება ისე აიტანა, რომ გმინვა ან კვნესა არ გამოსულა მისი პირიდან.

— დიკლო დაინგრა. მდიდარ ყოველისფრით აშენებულ სოფლის ალაგას მკვდრების გვამები და ნანგრევები-ღა დარჩა· სვავ-ყორნები და ნადირნი დანავარდობდნენ სისხლით მორწყულ და გვამებით მოკენჭილ ნანგრევებზედ. ვინც გადურჩა მტრის მრისხანე მახვილს, ტყვეთ იქმნა წაყვანილი.

რაღაც საკვირველებით გადარჩნენ გმირ ბავშვის დედა და და, გაიქცნენ. შენაქოში და აუწყეს მცხოვრებლებს დიკლოს უბედურობა. აუწყეს ისიც, რომ გააფთრებული მტერი აპირებს ასეთივე დღე დააყენოს შენაქოსაც.

შენაქოს უჭირავს მაგარი ალაგი. სიმაგრეს ჰმატებს მრავალი ციხე-კოშკი, რომელნიც მრისხანედ გადაჰყურებენ არე-მარეს. შენაქოელები მოემზადნენ მტერს ღირსეულად დავუხვდეთო. შეჰფიცეს ერთმანეთს: ან გამარჯვება, ან ღირსეული სიკვდილიო...

დილოზე გამარჯვებულ გალაღებული ალდამი მიჰვარდა შენაქოს, როგორც გამძვინვებული მგელი და როდესაც შენაქოელები ტყვიით გაუმასპინძლდნენ, ალყა შემოარტყა სოფელს.

გავარდა ხმა, რომ მტერი შემოესია დიკლოშენაქოსაო. ამ ხმაზე ფეხზე წამოდგა მთელი დანარჩენი თუშეთი და ფშავ-ხევსურეთი. შედგა ჯარი და, თუმცა დათოვლილი იყო მთები, მაინც დიდის გაჭირვებით გადმოლახა, რომ დროიანად მოჰშველებოდნენ მოძმეებს. მოვიდა ჯარი და გარს შემოერტყა ალდამს. ასტყდა სასტიკი ბრძოლა. შურის ძიებით აღჭურვილი თუშები და ფშავ-ხევსურები ეკვეთნენ ლეკებს, როგორც გააფთრებული ლომები. ბრძოლამ ბევრ ხანს არ გასტანა. დამარცხებული ალდამი გაიქცა. მთელი ნადავლი, ტყვეები და ათასობით გვამები დასტოვა შენაქოს გარშემო!..

როდესაც მიუახლოვდა თავისს სოფელს, გაისმა შორიდან რაღაც ქუხილი, თითქოს მეხის გრგვინვააო. შესდგა და სმენად გადაიქცა.

— ეს რუსების ზარბაზნების ხმაა, უთხრა ერთმა მოხუცმა, რომელიც მოჰყვანდა ბიჭს, —ხომ მხედავ, მეც გავრბივარ მთებში. თითქმის მთელი ჩვენი სოფლები და ციხე-სიმაგრეები რუსების ხელშია და თვითონ დამარცხებული შამილიც გაიქცა ჩაჩანში. შენც თავს უშველე, თუ გინდა რომ გადურჩე სიკვდილს!..

ამ დროს მთის იქით გაისმა დაფის ხმა; წუთის შემდეგ გამოჩნდა ჰყვრიალა ხიშტები და რუსის რაზმი შევიდა ალდამის სოფელში.

ალდამი გაიქცა მთებში და როგორც მათხოვარი დაეთრეოდა აქეთ-იქით, შერცხვენილი და ყველასაგან დავიწყებული, უსახლ-კარო და მშიერ-მწყურვალი.

ივ. ბ—ლი.

---

*) თუშების გადმოცემით ორმოცი ყოფილიყო. მთარგ.

*) ბავშვის ამბავი ჩემთვისაც უამბნიათ შენაძოში მთარგ.

ეს ფულები და რამდენად იმოქმედა აქაურს ღარიბს ხალხზედ, მალე მივაწოდებ კალაგონის სამრევლო სკოლის გამაცოცხლებელ შემომწირველებს.

კალაგონის სამრევლო სკოლის მასწავლებელი სიმონ რამიშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).“

21 თებერვალი.

პეტერბურგი. დღეს 3 საათზე, სამეცნიერო აკადემიის დარბაზში მოხდა შეერთებული კრება რუსულის ენისა და პეტერბურგის უნივერსიტეტის საისტორიო და საფილოლოგო ფაკულტეტისა გოგოლის ხსენების პატივ-საცემლად.—სახალხო სეირნობა სემენოვის მოედანზე, რომელიც წინად აკრძალა მთავრობამ, ახლა ნება დართულია. სარაპულსა, ტულასა, ლიბავასა, უფას და კოვნო გადაიხადეს დღესასწაულები გოგოლის სახსოვრად.

ვაშინგტონი. რუზველტმა მიიღო ბურთა დელეგატები ვოლმარანის და ვესსელსი, როგორც კერძო პირები და გამოუცხადა მათ, რომ შეერთებულს შტატებს არც შეუძლია და არც ჰსურს ომში ჩარევა.

ლონდონი. „სტანდარტ“-ს ატყობინებენ, რომ შტეინი და დევეტი გადვიდნენ ნატალის საზღვარს და ბოტასთან თათბირი გამართეს.

ჟენევა. თავადი ყარაგიორგიევიჩი აცხადებს, რომ ალავანტიჩი, რომელმაც სრებიაში ამბოხების გამოწვევა დააპირა, მისი არც ნათესავია, არც პოლიტიკური მომხრე.

პეტერბურგი. მოსკოვსა, რეველსა, პსკოვსა, ცენზასა, კალუგასა, სარატოვსა, ნოვგოროდსა, ოდესასა, ხარკოვსა და ჩერნიგოვში გადაიხადეს იუბილეი.

პარიჟი. „მატენ“-ში დაბეჭდილია რაფალოვიჩის წერილი, რომლით ის პასუხს აძლევს ბერტელოს რუსეთის სამრეწველო კრიზისის შესახებ. რაფალოვიჩი უარსა ჰყოფს იმას, ვითომც მთავრობა ჯერ ხელს უწყობდა ქარხნების დაარსებას, შემდეგ-კი აკოტრებდა მათ.

კიევი. კიევის გაზეთებში დაბეჭდილია გენერალ—გუბერნატორის შემდეგი განცხადება: „9 თებერვალს კრეშჩატიკზე (ქუჩაა) მოსეირნე ხალხიდან გამოვიდა 50—60 სტუდენტი, რომელთაც „ურას“-ს ყვირილი დაიწყეს და რამდენიმე წითელი დროშა აათრიალეს. მათ გარს შემოეხვია პოლიცია; მანიფესტანტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციელთ და ბოქაულს ზაკუსილოვს თავში დაარტყეს ჯოხები; დასჭრეს აგრეთვე უბნის ზედამხედველები და პოლიციელები. შემდეგ 2-ს და 3-ს თებერვალს ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში გამოდიოდნენ ქუჩებზე დემონსტრანტების პატარა ჯგუფები და აგროვებდნენ ხალხს; მათ მაშინვე ჰფანტავდა ჯარი და პოლიცია. ბიბიკოვის ბულვარზე, როდესაც ჯარი ხალხს ჰფანტავდა, მოქალაქემ ხასკელ არონოვმა კაზაკს სცემა და ცხენიდან ჩამოაგდო; არონოვი დაჭრილ იქმნა და გაიგზავნა საავადმყოფოში, ის ხმა, ვითომც ბევრი სტუდენტი მოკლულია და დაჭრილი, მართალის არ გამოდგა; მოკლული არავინ უნახავთ, ხოლო დატუსაღებულთაგან ორი აღმოჩნდა დაჭრილი; შესაძლებელია, რომ დაჭრილთა რიცხვი მეტია. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, დატუსაღებულთ მიესაჯა: 27-ს დაპატიმრება სამი თვით, 56-ს—ორის თვით, 16-ს—ერთი თვით და 13-ს—ორი კვირით„.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა, საერო განათლებისა და იუსტიციის მინისტრებმა უწ. სინოდის ობერ-პროკურორთან ერთად დაადგინეს, რომ გაზ. „როსსიას“ გამოცემა სამუდამოდ მოისპოს.

უმაღლესის ბრძანებით ფლიგელ-ადიუტანტი პოლკოვნიკი თავადი ობოლენსკი გაიგზავნა შემახიის მაზრაში მისის უდიდებულესობის მინდობილებით, რათა დაათვალიეროს მიწის ძვრისაგან დაზარალებული ადგილები, ფულით შემწეობა აღმოუჩინოს უფრო მეტად დაზარალებულთ, დაწვრილებით შეისწავლოს დაზარალებულ მცხოვრებთა საჭიროებანი და ნახული პირად მოახსენოს მისს უდიდებულესობას.

ბუდაპეშტი, ნამდვილი სახელი ალავანტიჩისა, რომელსაც უნდოდა შაბაცში ამბოხება მოეხდინა,—მილან რადოვანოვიჩია, იგი წინად პოდპოლკოვნიკი იყო სერბიის ჯარში და ექვსი წლის წინად დაირქვა ალავანტიჩი; იმისი ძმა რადოვანოვიჩი ბელგრადში იყო რედაქტორად და ერთი თვე იქნება, რაც ზემლინში სცხოვრობს; იგი შეიპყრეს. დამტკიცდა, რომ ალავანტიჩი მოქმედებდა, როგორც ყარაგეორგიევიჩის აგენტი.

ბაქო. საბჭომ გადასდო ხუთი ათასი მან. თვითმართველობაში მოსამსახურე შემახელთა და სახმარებლად, რომელთა შორის ქალაქის სკოლების ბევრი მასწავლებელია.

ბაქო. დაზარალებულ შემახელთა სასარგებლოდ შეუგულ რუსეთის ქალაქებიდან და გაზეთების რედაქციებიდან შემოწირულება მოდის. გამოკვლეულის ცნობებით, შემახელთა ზარალი მიწის ძვრისაგან ათ-მილიონობით არის. სოფლებში დაზარალდნენ მაჰმადიანნი. კომიტეტი, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, დაზარალებულთა დახმარების საქმის განხილვაშია. დიდ-ძალი დახმარება ეჭირვება ფულით. ხელმწიფე იმპერატორის ახალმა შემოწირულებამ სასიხარულო შთაბეჭდილება მოახდინა. შემოწირულებანი მიიღება ბაქოს გუბერნატორის მიერ, „კასპის“ რედაქციაში და ტაგიევის კონტორაში.

სტანისლავის ქუჩაზე, პატვაკანოვის სახლის დაბლა სართულში აღმოაჩინეს ნახევრად დამპალი ახალ-გაზდა ქალის გვამი. საიდუმლო ბოროტმოქმედება. ხუთის თვის წინად ეს სახლი დაიქირავა ვიღაც უცნობმა ყმაწვილმა კაცმა, რომელსაც თან ქალი ჰყავნდა და დას ეძახდა. სამის დღის შემდეგ ყმაწვილი კაცი მიიმალა და სახლი დაკეტილი დასტოვა.

23 თებერვალი.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა წესები იმისა, თუ როგორ უნდა გადაახდევინონ სახელმწიფო სამრეწველო გადასახადი ოქროსა და პლატინის მრეწველთ.

საერო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სამოსწავლო ოლქებს შემოიღონ შემდეგი წესი გადაყვანისა: ვისაც 3-ზე ნაკლები ნიშანი არა აქვს, იგი უეგზამენოდ იქმნება გადაყვანილი, ხოლო სუსტ მოწაფეებს საზაფხულოდ უნდა ისცენ დამატებითი სამუშავო; ვისაც ორს უმთავრეს საგანში ნიშანი 2 აქვს, იმას ეგზამენი დაენიშნება შემოდგომაზე; ხოლო ვისაც 2 მხოლოდ ერთს საგანში აქვს, იმას ეგზამენი შეეძლება გაზაფხულზე დაენიშნოს.

ათინა. აიკრძალა თოფ-იარაღის გატანა ოსმალეთის საზღვარზე სალონიკსა და მონასტირში. ამ საშუალებით მთავრობას განზრახვა აქვს შეაფერხოს მაკედონიაში მეამბოხეთა მოქმედება.

პეტერბურგი. კიევს, ასტრახანს, ეკატერინოსლავს, ჟიტომირს, ტამბოვს, ორენბურგს, ბათუმსა და პეტროზავოდსკიდაგან იწერებიან გოგოლის პატივსაცემლად გამართულ დღესასწაულის ამბებს. 25 თებერვალი.

კონსტანტინოპოლი. მრავალ წარჩინებულ კაცს აპატიმრებენ. დააპატიმრეს სამხედრო სამინისტროს ქვეითა ჯარის დეპარტამენტის დირექტორი კასსიმ-ფაშა და მთავარ-შტაბის განყოფილების უფროსი მაჰირ-ფაშა. ყველა შეშინებულია.

ჰონკონგი. კვანგსის პროვინციის მეამბოხენი კაიჩუმდე მოვიდნენ, რომელიც კუანგ-ჩუანიდგან 80 მილის მანძილზედ მდებარეობს, დაეცნენ მანდარინებს და, დაამარცხეს რა ისინი, გაანთავისუფლეს ტუსაღები, რომ ისინიც მეამბოხეთ მიემხრნენ. ამბობენ, „სამ-ერთარსობის“ საზოგადოება მეამბოხეებთან ერთად მოქმედებს სოფლების გაძარცვისა და ცეცხლის წაკიდების დროსაო.

შემახა. მიწის-ძვრის შემდეგ პირველად სწირეს შემახიის ქვეითა რაზმის საეკკლესიო ფარდულში, რომელიც აგებულია თავად გ. ს. გალიცინის მეცადინეობით. სამის გოჯის სიმაღლეზედ თოვლი დასდო. ჯარი და მოქალაქენი კარვებში არიან და მხოლოდ მცხოვრებთა მცირე ნაწილია უშიშარს შენობებში. ყინვა ღამე რვა გრადუსამდე ადის.

ვარონეჟი. შლიხტინგის მემკვიდრეებმა ბობროვის მაზრაში გლეხებს დაუთმეს 5,600 დესეტინა მიწა 100 მანეთად დესეტინა, თუმცა 160 მანეთიც ფასობს. გლეხებმა პარაკლისი გარდაიხადეს და დაადგინეს, სასოფლო გამგეობაში დაჰკიდონ სურათები შლიხტინგისა და იმათ რწმუნებულის მედვედევისა.

სიმბირსკი. სიფხიზლის კომიტეტმა შუამდგომლობა აძრა 40,000 მანეთის სუბსიდიის შესახებ. ამ ფულით ქალაქის საუკეთესო ნაწილში აგებული იქმნება სახალხო სახლი სამკითხველოთი, წიგნთ-საცავითა და ბაღით.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმ ი ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ) (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60 61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს., 10 წ. ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადება

მკურნალი
ნ. ტ. მულინი.
იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 18. (წლ.)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 25 ამა თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც გაიცემა უწმინდურების სადენ ბეტონის მილის გაყვანა ოქრომჭედლებისა და თომას ქუჩების კუთხეში, უკვე არსებულ მილიდგან ბაზიეროვის სახლამდე, დიდ გრიაზნის ქუჩაზედ, სამუშაო 1,000 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (3 - 6.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

—იწვევს ბატონთ უძრავ ქონებათა და სავაჭრო-სამრეწველო ცენზის პატრონთ განუცხად ან გამგეობას ორის კვირის განმავლობაში ე. ი. 1902 წლის 12 მარტამდე, თუ შეამჩნევენ რომ საარჩევნო სიები უწესოდ არის შედგენილი, ან სრული არ არის, თანახმად საქალაქო დებულების მე—36 მუხლისა. ამასთან გამგეობა უძრავ ქონებათა გარდაცვალებულ პატრონების მემკვიდრეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ თუ ისინი არ ეცდებიან და 12 მარტისათვის არ წარუდგენენ გამგეობას საბუთებს ქონების იმათ სახელზედ გადასატანად, ასეთი პატრონნი საბოლოო საარჩევნო სიაში არ იქნებიან მოხსენებულნი. იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელთაც უძრავი ქონებანი სხვა და სხვა საარჩევნო ნაწილებში აქვთ, ამავე ვადისთვის უნდა გამოუცხადონ გამგეობას, რომელ საარჩევნო ნაწილში ჰსურთ მათ მონაწილეობის მიღება; წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობა მოათავსებს მათ იმ ნაწილში, სადაც უფრო დიდი ქონების ცენზი აქვთ. იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელნიც ერთ საარჩევნო ნაწილში ქონების ცენზით არიან ჩარიცხულნი, ხოლო მეორეში—სავაჭრო- სამრეწველო ცენზით, უნდა განაცხადონ რომელი ცენზით ჰსურთ მონაწილეობის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობა მოათავსებს მათ იმ საარჩევნო ნაწილში, სადაც მათ უძრავი ქონება აქვთ. ის პირნი და დაწესებულებანი, რომელთაც პირველ სიების შედგენის შეიდგ უკვე შეიტანეს დასაფასებელ გარდასახადის 1901 წლის 1 ივლისამდე დარჩენილი ფული ჩარიცხულნი იქნებიან საბოლოო სიებში; საბოლოო სიებშივე ჩაირიცხებიან ის ის პირნი და დაწესებულებნი, რომელნიც 1902 წლის 22 აპრილამდე შეავსებენ დასაფასებელ გარდასახადის 1901 წლის პირველ ნახევრის დარჩენილს ფულს:

საარჩევნო სიების დაბეჭდილ ეგზემპლიარების მიღება შეიძლება ქალაქისა, სახელოსნო და მეშჩანთა გამგეობებში, ყველა საპოლიციო ნაწილის სამმართველოში და ვაჭართა სტაროსტის კანცელარიაში. (1—6.—1)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 „
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი . . .	5 „
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი .	40 „
ბენია	10 „
ბუნების სათცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 „
ბაში-აჩუკი, აკაკისა . .	30 „
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა	1 მ. 30 „
გლეხი კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. 20 „
გამზრდელი, აკაკისა . . .	5 „
აგსართობი	10 „
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა .	15 „
გუსტავ ვაზა	5 ,,
Грузинскій отрывокъ Калилы и димны, А. Хахановъ .	60 ,,
გიორგი და მიხეილი . . .	10 ,,
Древный Анчсхатскій соборъ Карбеловъ . . .	20 ,,
დედა, ანდერსენისა . . .	8 ,,
ამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი .	1 მ. ,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი , .	20 ,,
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К.	10 „
Давилъ Гареджели, Е. К. .	15 ,,
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	15 ,,
ელენე, მოთხრობა . . .	5 ,,
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвли	40 ,,
Назрѣвшій вопросъ, Е. К. .	„ 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა .	„ 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ	3 „
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30
აბო ტფილელი, ე. კ. .	30
Або Тифлисскій, Е. К. .	5
ამბავი მადლის ქვისა . . .	5
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари,	1 р.
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა. .	3 „
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К.	30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი . .	1 მ.
თეთრია სიტუეიერებისა, კელენჯერიძისა	40
თამარ-დედოფლის სამკაული . .	10
თამარ ლაზნელი, ან. ფურცელაძისა	50
ისტორია ქართულ სტამბისა	15
იანიჩარი, დ. ნახუცრიშვილისა .	40
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I-II ნრ. ქუთათელაძისა	60
კოპერნიკიდან დარვინამდე . .	10
კანდელი, მ. ღელაშვილისა .	„ 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К. .	1 50
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	„ 30
კუბიკები ქართულის ანბანისა .	1 20
ლექსები განდეგილისა . . .	„ 50
მელოშვილისა	„ 50
გრ. აბაშიძისა . . .	„ 60
დ. გაბრუაშვილისა . . .	„ 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა. .	„ 40
მუშათა კითხვა	„ 15
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყანჩოშვილისა . . .	1 „
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა. .	„ 40
მეცნიერებისთვის წამებულნი . .	1 „

მთავრობის ნება-დართვით მომავალ 15 მარტს გაიხსნება ქ. ტფილისში

სამეურნეო სასწავლებელი

ბაღოსნობისა, მევენახეობისა, მებოსტნობისა და მეფუტკრობისა, რომელშიაც მთელი სწავლა დამთავრდება **რვა თვეში** (დაიწყება 15 მარტს და გათავდება 15 გიორგობისთვეს). სკოლაში მიიღებიან რუსულის წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილები, არა ნაკლებ 15—16 წლისანი. ვინც სწავლას კარგად გაათავებს, მიეცემა მოწმობა. ფასი მთელის სწავლისა **რვა თუმანია**. ვისაც ჰსურს მიიღოს სკოლის დაბეჭდილი წესდება, უნდა გამოგზავნოს 7 კაპ. მარკა. თხოვნები მიიღება 10 მარტამდის, ჯერით.

ადრესი: Въ Тифлисъ, Завѣд. Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. переулокъ, № 20). (10—302—2.

გამგეობა

ქონებათა ცეცხლისაგან დაზღვევის ტფილისის საურთიერთო

საზოგადოებისა

პატივის-ცემით აუწყებს საზოგადოების ბ-ნთ წევრთ, რომ კვირას, ამა წლის მარტის 3, დილის 11 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

საზოგადო კრება.

განსახილველია და დასამტკიცებელი:

1) ანგარიში გამგეობისა 1901 წლისა.

2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902 წლისათვის.

3) მოხსენება გამგეობისა, რომ 30%-ი დაუკლონ დასაზღვევს გადასახადზედ იმ მამულების პატრონთ, რომელთაც განუწყვეტლივ უზღვევიათ თვისი ქონება ამ საზოგადოებაში 13 წელიწადს. ეს პროცენტი უნდა დაუკლონ დაზღვევის მე-14 წელიწადს.

და 4) არჩევანი თანამდებობის კაცთა საზოგადოების საქმეთა განსაგებელად:

ა) გამგეობის ერთის წევრისა ვ. გ. კანდურალოვის მაგიერ, რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს გამგეობის წევრობას.

ბ) გამეობის წევრების ერთის კანდიდატისა ი. ი. ტერ-მიქელოვის მაგიერ, რომელსაც აგრეთვე გაუვიდა ვადა კანდიდატობისა.

გ) ზედამხედველ კომიტეტის წევრთა ერთის კანდიდატისა ი. ნ. მარკოზოვის მაგიერ, რომელიც რიგისამებრ თავს ანებებს კანდიდატობას.

დ) სარევიზიო კომისიის ორის წევრისა მ. რ. დოლუხანოვისა და გ. ი. თამამშევის მაგიერ.

ე) სარევიზიო კომისიის წევრთა ორის კანდიდატისა, მათ შორის ერთი უნდა არჩეულ იქმნას თ. ვ. გ. ბებუთაშვილის მაგიერ

და ვ) საზოგადოების ხუროთ-მოძღვრისა **ნ. შ. ფითოევ იაგულოვის** მაგიერ, რომელმაც უარი სთქვა თავისს თანამდებობაზედ.

ამასთანავე გამგეობა პატივის-ცემით აცნობებს ბ-ნთ წევრთ-დამზღვეველთ, რომ

1) იმათ, ვისაც არ შეუძლიან დაესწროს კრებას, ნება აქვთ თავიანთი ხმა გადასცენ ვექილობით მხოლოდ დამზღვეველთ და არა სხვას;

2) ხელის-მოწერა ვექილობის ქაღალდზედ უნდა შემოწმებული იყოს გამგეობის მიერ, ან საზოგადო წესისამებრ;

3) მდედრობითის სქესის წევრთ შეუძლიანთ ვექილობა მისცენ თავიანთ მამებს, ქმრებს, შვილებს, სიძეებს და ღვიძლ ძმებს. იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც ყველა ესენი არ ირიცხებიან საზოგადოების წევრებად. ამავე საფუძვლით ირიცხება ვექილობა ჰქონდეთ მამათგან განუყრელს მათს შვილებს.

და 4) ვექილობანი უნდა წარედგინოს გამგეობას დილის 12 საათზედ არა უგვიანე საზოგადო კრების წინა დღისა. (2—6.—2)

გამგეობა

ქუთაისის ქალაქის წყლის მილის ამხანაგობისა

აცხადებს ამხანაგობის პაის პატრონთა საყურადღებოდ, რომ ამა 1902 წლის 10 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, ტფილისში, ხარაზოვის სახლში, ერევნის მოედანზე, ამხანაგობის კანტორაში დანიშნულია **საზოგადო კრება** ამხანაგობის წევრთა, ამასთან, თუ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, კრება არ შესდგა, იგი გადაიდება 17 მარტისათვის და კანონიერი იქმნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს

საზოგადო კრების მიერ განსახილველი საგნები:

1) ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა 1902 წლის 1 იანვრამდე, 2) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების შესახებ, 3) შეცვლა და დამატება ამხანაგობის ხელშეკრულობის ზოგიერთ მუხლებისა, 4) წინადადება სამთო ინჟენერის ა. დ. მიხაილოვისა იმის შესახებ, რომ ამხანაგობას გადაეცეს კონცესია ქუთაისის ტრამვაისა; ამ მოხსენებას თან ახლავს გამგეობის დასკვნაც, 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და 6) გაიგე დირექტორის ა. დ. მიხაილოვის მოხსენება გამგეობის აზრითურთ.

რწმუნებანი უნდა წარდგენილ იქმნას ხელშეკრულობის მე—34 §-ის თანახმად. (3—288—3)

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозвол. цензурою. Тифлисъ 25-го Февраля 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა“ და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითირედაქტორი ა. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.